



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
ფილოლოგია

ხელნაწერის უფლებით

მაია კობიაშვილი პროლეტარული ნარატივი ქართულ მწერლობაში

ფილოლოგიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

თბილისი
2019



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
ფილოლოგია

ხელნაწერის უფლებით

მაია კობიაშვილი
პროლეტარული ნარატივი ქართულ
მწერლობაში

ფილოლოგიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

თბილისი
2019

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ნინო მინდიაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები:

ნინო მამარდაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი;

თამარელა წოწორია - ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2019 წლის ____ 16:00 საათზე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს ფილოლოგიის სექციის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: 0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. №53ა, ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის სხდომათა დარბაზი, IV სართული.

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2019 წლის ____ _____

სადისერტაციო საბჭოს ფილოლოგიის სექციის სწავლულ მდივანი, ფილოლოგიის დოქტორი,

პროფესორი

ნინო მამარდაშვილი

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა

მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან ქართულ მწერლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. პოლიტიკური პროცესებით გამოწვეულმა ეპოქალურმა კატაკლიზმებმა, ერთი მხრივ, შეაფერხა კულტურული პროცესი, ხოლო, მეორე მხრივ, სულ სხვა სადინარი მისცა ქართული ლიტერატურის განვითარებას. საბჭოთა კავშირის მიერ ინსპირირებული „წესრიგის დაცვის“ პროცესი გულისხმობდა არა მარტო გაბატონებული პოლიტიკურ-ეკონომიკური რეჟიმის დაშლას და ახლის შექმნას, არამედ ახალი იდეოლოგიისა თუ საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას და ახალ სააზროვნო სისტემაში გადართვას, რაც თანდათან აყალიბებდა კიდეც კულტურულ რეალობას. ლიტერატურის იდეოლოგიურ ტრიბუნად გადაქცევის პროცესი ქართველ მწერლებს აიძულებდა ეწერათ მიზნობრივად, რაც, უმეტეს წილად, პარტიისა და მთავრობის პროპაგანდას გულისხმობდა.

დისერტაციაში „**პროლეტარული ნარატივი ქართულ მწერლობაში (1921-1940)**“, წარმოჩენილია მწერალთა შემოქმედებითი პოზიციები, მთავრობისა და ცენზურის დამოკიდებულება კლასიკოსთა მიმართ და მათი რეაგირება ეპოქის მთავარ გამოწვევებზე.

საკვლევ თემაში განხილულია კლასიკოსთა ჩაბმის პროცესი პროლეტარული მწერლობის ფერხულში, გაანალიზებულია როგორც პროლეტარული ხასიათის ნაწარმოებები, ასევე, ტოტალიტარიზმის სისასტიკეს გადარჩენილი ქართული მწერლობის შედეგები.

ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია საბჭოთა ეპოქის 20-იან-30-იანი წლების ემპირიული მასალა, რომელიც გაბნეულია სხვადასხვა კრიტიკოსისა და მკვლევრის ნაშრომებში.

კვლევისას განსაკუთრებით დაგვეხმარა ჟურნალები: „მნათობი“, „პროლეტარული მწერლობა“, გაზეთები: „ლიტერატურული საქართველო“, „პოეზიის დღე“, „კომუნისტი“, „ბარრიკადი“,

„ერთობა“, ყოველკვირეული სახალხო გაზეთი „შეისწავლეთ სოციალიზმი“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული ის მასალები, რომლებიც 1921-1940 წლებს უკავშირდება, ასევე, საქართველოს ეროვნულ არქივსა და საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმთან არსებული არქივის მასალები.

კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანია ლიტერატურის ისტორიკოსის პოზიციიდან მე-20 საუკუნის ქართველ მწერალთა საბჭოთა მემკვიდრეობის გააზრება, დაკვირვება მათ პიროვნულ მახასიათებლებზე, ლიტერატურულ პორტრეტებზე, 1921-1940 წლების ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებასა და საზოგადოებრივი აზრის დინამიკაზე. არსებულ მასალაზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანია პროლეტარ და არაპროლეტარ მწერალთა გამიჯვნა. პროლეტარული ნაწარმოებების გააზრებისა და სწორად გაგებისთვის მნიშვნელოვანია აღნიშნული პერიოდის ლიტერატურულ პროცესებზე დაკვირვება, განსაზღვრა ლიტერატურული ნაწარმოების მიმართულებისა, მწერლის პოზიციისა - იყო აშკარა მიმდევარი, თუ გამოხატავდა „დაპირისპირებას“. ასევე, იპოვოს განსხვავება ჭეშმარიტად პროლეტარულ მწერალსა და დეკადენტური მიმდინარეობის მწერლს შორის;

კვლევის ამოცანაა სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების მქონე მწერლების მიერ ეპოქის პანორამული სურათის წარმოდგენა, ჯერ ნაკლებად შესწავლილი ლიტერატურული პროცესებისათვის ახლებური შეფასება. საბჭოთა და თანამედროვე კრიტიკოსთა კვლევითი მასალის საფუძველზე ხელახალი დასკვნების გაკეთება.

კვლევის თეორიული ბაზა

ნაშრომის ძირითადი საკვლევი მასალა მოვიძიეთ საბიბლიოთეკო ფონდებში, არქივებში, ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ის საარქივო მასალები, რომლებიც გარკვეულ პერიოდამდე

უცნობი იყო ტოტალიტარული რეჟიმის მიერ იდეოლოგიური მოტივით აკრძალვის გამო. ასევე, გამოვიყენეთ პერიოდული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები, 20-იანი და 30-იანი წლების გამოცემები გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე.

ნაშრომში გამოყენებული გვაქვს ქართველ და უცხოელ ავტორთა თეორიული ნაზრევი. გამომდინარე იქიდან, რომ 2000-იანი წლებიდან საზოგადოებრივი კონიუნქტურა შეიცვალა, საბჭოეთის დანგრევასთან ერთად, საფრთხეებიც გაქრა, რეაბილიტაციის შემდგომ ხელმისაწვდომი გახდა მანამდე აკრძალული ლიტერატურა, რასაც მოჰყვა ეპოქალური ნარატივების გადახედვა და განსჯა. კვლევისთვის მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია ბევრი კრიტიკოსის თვალსაზრისი საბჭოთა მწერლობის შესახებ. გავეცანით და შევეცადეთ გადაგვეაზრებინა აკაკი ბაქრაძის, სოსო სიგუას, ნინო ნაკუდაშვილის, სერგი ჭილაიას, თამარ ყალიჩავას, ეკატერინე ყაველაშვილის, ნუნუ გეგეშიძის, თამარ პაიჭაძის, ზეინაბ სარიას, ლაშა ბაქრაძის, ნინო ბექიშვილის, გიორგი კეკელიძის, ნინო მინდიაშვილის, ნანა გაფრინდაშვილის, მარიამ მირესაშვილის, ავთანდილ ნიკოლეიშვილის ნაშრომები. განსკუთრებული გამოწვევა მივიღეთ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ განხორციელებული სამეცნიერო პროექტის ფარგლებში გამოცემული მონოგრაფიისგან **„ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე 1921-1941“**.

გავეცანით რუსი, ინგლისელი და ამერიკელი კრიტიკოსების შრომებს: Боров Ю - Социалистический реализм Взгляд современника и современный Взгляд; Балашова Т- Споры о реализме во Франции на рубеже 20-30-ых годов. Гиленсон Б - Джон Рид у истоков Социалистического реализма США; Лувсанвандан Сономын-Особенности формирования метода Социалистического реализма; Агирре М - Позиция писателеи Кубы; Vaughan J - Soviet Socialist Realizm;Origins end Theory; Ermolaev.H - Soviet Literary Theories(1917-1934);

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე

1921 -1940 წლების პროლეტარული ნარატივის შესწავლითა და ეპოქის ისტორიულ მახასიათებლებზე დაკვირვებით გამოვლინდა ბევრი საინტერესო და კვლევისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. აღნიშნულ მასალაზე დაყრდნობით განისაზღვრა სადისერტაციო ნაშრომის თემა, შინაარსი და მიზანი.

ეპოქალური მწერლობის სრული და თანმიმდევრული ანალიზის დეფიციტმა, მიმოხილვითი ხასიათის შეფასებებმა განაპირობა ძირეული კვლევა. მოკვლეულმა მასალამ ნათელი მოჰვინა ისეთ ბუნდოვან მხარეებს, როგორებიცაა მწერალთა პოზიციების ცვლილებები, მერყეობა, მეხოტბეობა.

გამოიკვეთა მწერალთა რამდენიმე კატეგორია: „გაწირულები“, „მეწირულები“ და „გადარჩენილები“. ნაშრომში წარმოდგენილია ეპოქის სურათი მწერალთა შემოქმედებითი პოზიციების ნათელსაყოფად (მიმდევრობა, გადახრა თუ ოპოზიცია).

საბოლოოდ, სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო სიახლე ისაა, რომ ქართველი კლასიკოსები ემსახურებოდნენ საბჭოეთს პროლეტარული ხასიათის ნაწარმოებების შექმნით და ეს არ იყო მხოლოდ წნეხით გაპირობებული. ეს იყო თანადროული ცხოვრების გამოწვევა და ისინი იძულებულნი იყვნენ ეს გამოწვევა მიეღოთ.

იქმნებოდა დითირამბული მწერლობა და ყველა „საბჭოთა მწერალი“ ხოტბას ასხამდა სტალინს როგორც დაკვეთით, ასევე შინაგანი ვალდებულების განცდით.

დისერტაციის პრაქტიკული ღირებულება

დისერტაცია ხელს შეუწყობს თანამედროვე ანალიტიკურ დისკურსში ახალი შეხედულებების დამკვიდრებას, პროცესების რეალური არსის გამოვლენას, რაც შედეგად ისახავს შეიქმნას XX საუკუნის I ნახევრის კულტურული რეალობის მეცნიერულად დასაბუთებული შრომა.

➤ შემუშავდება საუკუნის 20-იან-30-იანი წლების იდეოლოგიური დისკურსისა და კოლონიური ცნობიერების ამსახველი ტექსტობრივი მასალები;

- კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები ხელს შეუწყობს ისტორიული პროცესების ხელახალ შეფასებას;
- კვლევის შედეგად ჩამოყალიბდება დასკვნები ისტორიულ რეალობაზე, კოლონიალური პოლიტიკის იდეოლოგიურ წნეხსა და მის ხარისხზე.
- კვლევა შეასრულებს გზამკვლევის როლს ისტორიულად მძიმე პერიოდის კულტურული განვითარების არა მხოლოდ ამ ეტაპის, არამედ, კოლონიური დისკურსის ისტორიული და თანამედროვე პოზიციების გასაცნობიერებლად და შესასწავლად;
- მოკვლევულ და გაანალიზებულ მასალას ექნება პრაქტიკული მნიშვნელობა, როგორც ბაზას ამ მიმართულებით შემდგომი კვლევებისათვის.
- ნაშრომი საინტერესო იქნება უმაღლესი სასწავლებლის შესაბამისი მიმართულების სტუდენტებისათვის და ამ პერიოდის ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართათვის, დაინტერესებულ პირთათვის.
- ნაშრომი იქნება ელექტრონული ფორმატის, რომლის ბაზაზეც შესაძლებელი გახდება გამოცემა პოლიგრაფიული სახით.

კვლევის მეთოდები

კვლევისთვის მნიშვნელოვანი გამოდგა კომპარატივისტული მეთოდი, ლიტერატურათმცოდნეების, ლინგვისტების ისტორიულ-შედარებითი მეთოდები, ტექსტებზე დაკვირვების, ინტერდისციპლინარული და კონცეპტუალური ინტერპრეტაციის, ანალიზისა და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება 228 გვერდისაგან, რომელიც მოიცავს შესავალს, სამ თავს, შვიდ ქვეთავს, დასკვნასა და ბიბლიოგრაფიას. ნაშრომს ერთვის ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალი

შესავალში წარმოდგენილია თემის აქტუალურობა, ნაშრომის მიზნები, ამოცანები, კვლევის თეორიული ბაზა, კვლევის პრაქტიკული ღირებულება, სამეცნიერო სიახლე, კვლევის მეთოდები, სტრუქტურა და მოცულობა.

ნაშრომში განხილულია ტოტალიტარიზმის კვალდაკვალ „ცისფერყანწელების“, მოდერნისტების, დეკადენტური მიმდინარეობის მწერალთა შემოქმედებითი პარადიგმები, მათი იდეოლოგიური რყევები, შიშისა და წნეხის პირობებში გარდაქმნილი ლიტერატურა.

წარმოდგენილია პროლეტარული და არაპროლეტარული მწერლების ნაწარმოებთა შეფასება-ანალიზი, მათთან დაკავშირებული პოლემიკური მასალა, კრიტიკოსთა წერილები, მთავრობის წარმომადგენელთა მიმართვები, მწერალთა კავშირის ყრილობებისა და სხდომების სტენოგრაფიული მასალები.

კვლევის შედეგებში წარმოჩენილია 1921-1940 წლების საბჭოთა მწერლების ნაწარმოებთა შექმნის განმაპირობებელი ფაქტორები, რეჟიმის ზემოქმედების კვალი, მწერალთა პოზიციებისა და შეხედულებების თავისებურებები.

I თავი

XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიის ეპოქალური თავისებურებანი

პირველ თავში განხილულია XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ეპოქალური თავისებურებები სოცრეალისტურ დისკურსში; ქართული საბჭოთა ლიტერატურის რამდენიმე მახასიათებელი გასაბჭოებამდე. კვლევა განისაზღვრა ორი რაკურსით:

1. პროლეტარული მწერლობის იდეოლოგიური წანამძღვრები;

2. პროლეტარული მწერლობის რეფლექსია ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში.

ბურჟუაზიული ფასეულობების განადგურება და სალად მოაზროვნეთა ხელყოფა რუსეთის მთავარ სამიზნედ იქცა. ამ ნიადაგზე აღმოცენდა საბჭოთა რეჟიმის მთავარი მეხოტბე - **პროლეტარული მწერლობა**, რომელსაც ჰქონდა მკაცრად განსაზღვრული თემატიკა: ელექტრიფიკაციის, ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის საყოველთაო ხოტბა-შემახილები, ქარხნისა და ფაბრიკის საყვირის ხმა, შეჯიბრებები, ხუთწლედის გეგმები, ლოზუნგები და საბჭოთა პათეტიკა. მწერლობას დაეკისრა კლასობრივი ბრძოლის მქადაგებლის ფუნქცია და გაჩნდა მუქარა - ვინც არ უმღერებდა, მას სიკვდილით დასჯიდნენ.

ამგვარად, საზოგადოებას პროლეტარული მწერლობის სახით ახალი გონითი დამპყრობელი მოევლინა.

ნაშრომში ნაჩვენებია რეალობა, რომ პროლეტარ მწერლებზე უკეთ ხოტბა გამოსდიოდათ კლასიკოსებს, „ცისფერყანწილებს“, სხვა დაჯგუფებებისა თუ სკოლების მიმდევრებს. ამას განაპირობებდა რეჟიმის დაკვეთა. როგორც აკაკი ბაქრაძე წერს „მწერლობის მოთვინიერებაში“, ქართული მწერლობა გადაიქცა „ორღობის მწერლობად“, რადგან მას, ფაქტობრივად, გამოაცალეს ეროვნული ნიადაგი.

„ბარრიკადაში“ გამოქვეყნებულ „ცისფერი ყანწების“ დეკლარაციაში ვკითხულობთ: „დეენა გადავიტანეთ საქართველოში... პოეზია ვერ უძლებს იმ ატმოსფერულ გავლენას, რომელსაც ახდენს რევოლუცია. ჩვენ ამკარათ ვამბობთ, რომ ჩვენ ვიყავით და ვიქნებით რევოლუციის მხარეზე, ამ შემთხვევაშიც აქვს ამას ეროვნული გამართლება, რადგან ქართველი ხალხი ბუნებით არის რევოლუციის მხარეზე... ჩვენ არ ვიცით, რა ფორმას მიიღებს რევოლუცია, ჩვენ არ ვიცით, რა კომპრომისზე წავა ის - მაგრამ ჩვენთვის ფაქტია, რომ ხერხემალმაგარი პროლეტარიატი ბრძოლას არ წააგებს. პოეზია კი ჰაერია, რომლითაც ის უნდა სუნთქავდეს. შესაძლებელია პირველ ბრძოლის დროს იყო გაუმართლებელი პრეტენზიები - თუნდაც პროლეტარული პოეზიის შექმნისა, მაგრამ პოეზიასაც აქვს თავის შინაგანი დიალექტიკა და ის თვითონ

მონახავს თავის ბუნებრივ სახეს“. დეკლარანტის სიტყვაში იკვეთება ორი ფაქტი:

1. „ცისფერი ყანწები“ თავდაპირველად იყო რევოლუციის მხარეს;
2. მომავალი აჩვენებს „პოეზიის ბუნებრივ სახეს“.

20-იანი წლების პროლეტარული ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს ჟურნალებმა: „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“ (1922-1923), „მნათობი“ (1924-2007), „ქართული მწერლობა“ (1926-1930), „დროშა“ (1923), „პროლეტარული მწერლობა“ (1927-1931), „სალიტერატურო გაზეთი“ (1931) და სხვ. პერიოდული პრესის ფურცლებიდან გაისმის მხოლოდ საბჭოთა რიტორიკა - **გაპროლეტარება!** რეჟიმის სიმკაცრემ გამოიწვია მწერალთა პიროვნული და შემოქმედებითი რყევები, რასაც მოჰყვა მათი ეტაპობრივი ტრანსფორმაცია.

გამოიკვეთა მწერლების ოთხი ალტერნატიული გზა:

- ✓ მწერალთა მორჩილება;
- ✓ მწერალთა ემიგრაცია;
- ✓ მწერალთა განადგურება;
- ✓ მწერალთა იმედგაცრუება!

ეპოქის ბევრმა მწერლმა, თვითგადარჩენის მიზნით, წერა დროით ნაკარნახევი ლექსები, მოთხრობები, პიესები. ზოგიერთი მწერალი ეთამაშებოდა ხელისუფლებასაც და საკუთარ შემოქმედებით ცხოვრებასაც.

პროლეტარული ლიტერატურის ძირითადი მახასიათებლებია: დარიბი, პოეტურ კულტურას მოკლებული, უღირსებო, დემაგოგიური.

ასეთ მდარე ლიტერატურას უნდა „ჩაენაცვლებინა“ მოდერნისტების მიერ დამკვიდრებული „ზეკაცური“, მაღალესთეტიური ლიტერატურა. პროლეტარული მწერლობა კატეგორიულად უარყოფდა სიმბოლოების ენას. გაუგებარი, უცხო, მიუწვდომელი არ უნდა ყოფილიყო მწერლის ენა, მთავარი ოყო, ლიტერატურის პოლიტიკით გაჯერება.

გალაკტიონ ტაბიძე, ტიცვიან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ნიკოლოზ მიწიშვილი და ბევრი სხვა ქმნიდა პროლეტარული ხასიათის მწერლობას. მათი მხრიდან ეს იყო „ეთამაში“. წერდნენ

ნაწარმოებებს, რომლებიც ორგვარად აღიქმებოდა: **მწერალი ან გაორებული** იყო, ან **მოთამაშე**.

მოცემულ თავში წარმოდგენილი მასალის ანალიზი ნათელყოფს საბჭოთა მწერლის ორმაგ ბუნებას, პოზას, განწყობას,

უმძიმესი ვითარების ფონზე შექმნილი მწერლობა თანამედროვე კრიტიკოსების მიერ აღიქმება ტოტალიტარული რეჟიმის გამოძახილად. ზოგ მწერალს შედარებით მყარი პოზიცია ჰქონდა ახალი ცხოვრების მიმართ. **გალაკტიონ ტაბიძის** „წერილი საბჭოთა მწერლების ფედერაციისადმი“ აშკარა მოწოდებაა მემარჯვენე ფრთისადმი: „თუ თქვენ გამბედაობა შეგწევთ, უნდა დაჰყაროთ ფარხმალი, აღიაროთ თავისი სრული უძლურება და გზა მისცეთ ახალს, თორემ რასა ჰგავს?.. ნუთუ მაინცდამაინც კატასტროფა უნდა მოხდეს... რომ თქვენ ჭაობიდან დაიძრათ? მიჰპასუხეთ: მე ამას მალაპარაკებს გრძნობა, რომელიც არ მასვენებს. მე ამას მალაპარაკებს მასა, რომელიც მიყვარს, მე ამას მალაპარაკებს რევოლუცია, მე მიყვარს მასა, მიყვარს რევოლუცია, მიყვარს ისეთი ადამიანი, რომელიც ებრძვის ძველ ცხოვრებას... დღეს საჭიროა მწერლობა - აქტიურად მებრძოლი ახალი ცხოვრებისათვის, პროლეტარული რევოლუციის იდეალებისთვის. აი, რა არის თავი და თავი“.

მოცემული ამონარიდის მიხედვით, მნელია ხელაღებით თქმა, რომ გალაკტიონი პარტიას და ხელისუფლებას უმღერის, შესაძლოა ის მხოლოდ ახალ დროს უმღერის, ან შეგნებულად იღებს ასეთ პოზას, რაც „გადარჩენის“ გარანტიად ესახება.

ვალერიან გაფრინდაშვილი თავისი ლექსების წინასიტყვაობაში წერს: „ახლანდელი ჩემი გზა არის სოციალისტური რეალიზმის გზა. მე მეკუთვნოდა ლოზუნგი: „დაბრუნება მიწასთან“, რომლითაც მე მოვუწოდებდი ჩემს ლიტერატურულ თანამოღვაწეებს რეალისტური შემოქმედების პოზიციებისკენ (1925 წელს). ჩემთვის, როგორც პოეტისთვის, უდიდესი როლი ითამაშა ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც გააჯანსაღა ჩემი შეხედულება და ჩემი მუშაობა... ლენინმა და სტალინმა მოახდინეს ჩემზე უდიდესი გავლენა და მე შეძლებისდაგვარად გამოვეხმაურე ჩვენი დღეების თემატიკას. სიმბოლიზმი უკვე განვლილი ეტაპია ჩემთვის და მე ვცდილობ ახლანდელ ჩემს ლექსებში სრულიად თავისუფალი ვიყო ჩემი წარსული მეთოდებისგან“.

გიორგი ლეონიძეს კრიტიკოსები აღიარებენ „საბჭოთა პოეტად“. მიუხედავად იმისა, რომ იგი შედიოდა ქართულ სიმბოლისტურ-დეკანდენტურ „ცისფერყანწელთა“ ჯგუფში, ითვისებდა მათ პრინციპებს, კრიტიკოს შალვა რადიანის აზრით, ის არ გაჰყოლია ამ გზას. მის შემოქმედებას, მართალია, ასდის „ნანგრევის სურნელი“, უმღერის ძველ თბილისს, საიათნოვას, მაგრამ მისი შემოქმედების მთავარი თემა საბჭოთა სოციალიზმია.

კომუნისტურმა ეპოქამ გარდაუვლად გამოაცხადა „ეპოქალური დაწმენდა“, ტერორი კომუნისტურ სახელმწიფოში დარჩენილ „ლიტერატურულ ნაგავის წინააღმდეგ“. თაყვანი და დაფასება ჰქონდათ მწერლებს, მაგალითად, როგორც **სიმონ ჩიქოვანია**, პროლეტარული მწერლობის გამორჩეული ფიგურა, რომლის დამოკიდებულება საბჭოთა მწერლობის მიმართ არც ეჭვს ბადებს და არც არავის აღიზიანებს. ის იმთავითვე მიეკუთვნა მწერლობის იმ ნაკადს, რომელმაც აღიარა ახალი ქვეყანა.

„პროლეტარული მწერლობა აღჭურვეს დიქტატის უფლებით... აიკრძალა როგორც პოლიტიკური, ისე შემოქმედებითი თავისუფლება... დასავლეთის კარები გადაიკეტა, მთელი ქვეყანა უზარმაზარ საკონცენტრაციო ბანაკს დაემსგავსა“ - ასე აფასებს სოსო სიგუა **გალაკტიონის** საბჭოეთთან დამოკიდებულებას: „მუდმივმა შიშმა და ახლობელთა ტერორმა გალაკტიონი ბოლშევიკების აპოლოგეტად აქცია და ნევროტიკად ჩამოაყალიბა, რასაც მოჰყვა მისი დიდი ტალანტის დაცემა“. დახვრიტეს **ნიკოლო მიწიშვილი**, თუმცა ხელისუფლებას ერთგულად ემსახურა... **დემნა შენგელია** ყოველთვის ხელისუფლების ერთგული და მორჩილი იყო... მოკვდა როგორც შემოქმედი. რატომღაც სულ რევიოლუციასა და მუშათა კლასს ეტმანესებოდა...მას ღუპავს კონფორმიზმი. ბოლშევიზმის მომღერლები გახდნენ ერთ დროს თავგადაკლული ნაციონალისტები - **იოსებ გრიშაშვილი** და **ალექსანდრე აბაშელი**. კომუნისტური რეჟიმის დამხობას მოესწრო **კოლაუ ნადირაძე**. იგი მუდამ ჩრდილში იდგა და ამიტომ არ უწყევდა ხელისუფლების რისხვა. თავად, როგორც პოეტი, რეალობას თვალს არიდებდა. მხოლოდ ღრმად მოხუცს აღმოხდა გოდება 1921 წლის კატასტროფაზე“.

მოცემულ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, მოდერნისტებს „ნირი უცვალა“ ბოლშევიზმმა. ისინი ჩააყენა თავის რიგებში და გადააქცია საბჭოეთის მშენებლებად.

აუცილებელია წარსულის სწორი აღქმა-დეფინიციები, მისი სავალალო შედეგების გააზრება; საბჭოთა და პოსტსაბჭოთა კრიტიკოსების „ნაღვანის“ ხელახლა შეფასება შემოქმედებითი მასალის პარალელურად, ემსახურება კლასიკოსების არა ლაფში ამოსვრას, არამედ ეპოქალური ნიშნების, მწერალთა ცხოვრების სიმძიმის ხაზგასმას, ამის გათვალისწინება ნათელს მოჰყვანს შედეგების, როგორც საბჭოთა ალეგორიის გამომხატველი ნაწარმოებების, გაგება-გააზრებას კონტექსტუალურ პრიზმაში.

აკაკი ბაქრაძე მიიჩნევს, რომ მწერლებს არ ჰქონდათ სხვა გზა, კომუნისტური დიქტატურის ეპოქამ გააჩინა „მწერლის ახალი ტიპი... რომელიც პოლიტიკური ქარის მიმართულებით ტრიალებს და ცხოვრობს დევიზით - აბა, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“.

აკაკი ბაქრაძე „მწერლობის მოთვინიერების“ წინასიტყვაობაში თავისებურათ ამართლებს კიდეც „თანამგზავრულ“ გადახვევას. ძნელი სათქმელია, რას მოიმოქმედებს მუქარის, შეურაცხყოფის, წამების ქვეშ ადამიანი. თუმცა არ შეიძლება ასე სადად და კომპრომისებით მივუდგეთ ღირსების საკთხს.

კრიტიკოს ლევან ბერძენიშვილის აზრით, ქართული მწერლობა გადაგვარდა, ლიტერატურის ღირსება შეილახა, „თავი მოეჭრა“, რაც გამოიწვია „საშინელმა პერიოდმა“. „პრობლემა მხოლოდ ის კი არ იყო, რომ ქართულ ლიტერატურასაც, ისევე, როგორც ყველაფერ ქართულს, მაშინ თავი მოეჭრა, პრობლემა ისიც იყო, რომ ქართული ლიტერატურა გადაგვარდა, სერიოზული ლიტერატურა თითქმის აღარ იწერებოდა. გამსახურდიამ თავს ისტორიაში გაქცევით უშველა, თუმცა სამტომიანი „ბელადიც“ ჩაიფიქრა, რომელიც, მადლობა ღმერთს, თვითონ სტალინს არ მოეწონა და პირველი ტომის შემდეგ აღარ გამოცემულა. გალაკტიონმა შედეგების წერა თითქმის ოცი წლით გადადო (ვფიქრობთ, ეს საკითხი სპეციალური კვლევის საგანია (მ.კ.)), ჯავახიშვილს „ქალის ტვირთმაც“ ვერ უშველა, მაინც დახვრიტეს; „ცისფერყანწელების“ უმეტესობა გაანადგურეს...“

კრიტიკოსის ტონი მამხილებლურია, რითაც ქართული სალიტერატურო სივრცე არაა განებივრებული. „ქართული

ლიტერატურა გადაგვარდა“, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ეპოქის დალი, ურთულეს პერიოდს გადარჩენილი შედეგები უკულმართი დროის ფონზე აღიქმება ნათლად ბნელში.

II თავი

პროლეტარიზმის ასახვა ქართულ მწერლობაში XX საუკუნის 20-იან-30-იან წლებში

მეორე თავში შესწავლილია პროლეტარიზმი ქართულ მწერლობაში. კერძოდ, პროლეტარების შემოქმედებითი მოტივები და თემები, „თანამგზავრები“ და ე. წ. „ხალხის მტრები“. თავში გაერთიანებულია სამი ქვეთავი:

1) პროლეტარებისა და „თანამგზავრების“ შემოქმედებითი თავისებურები;

2) პროლეტარული ნარატივი ჟურნალ „მნათობში“;

3) იდეოლოგიური წნეხი და შემოქმედებითი პოზიცია.

საბჭოურმა იდეოლოგიამ, ფაქტობრივად, გაანადგურა შემოქმედებითი თავისუფლება. ეს საქართველოს ისტორიაში ტერორის, განუკითხაობის, ანგარიშსწორებისა და დაუნდობლობის ეპოქა იყო. ბოლშევიკების მთავარ ამოცანას იდეოლოგიური მტრების განადგურება წარმოადგენდა.

ჩამოყალიბდა იდეოლოგიურად უტრირებული ლიტერატურული მიმართულება - **პროლეტარული მწერლობა**. იქმნებოდა დითირამული ლექსები საბჭოთა ქვეყნის მესაჭეებზე, იწერებოდა ვრცელი რომანები საბჭოთა ადამიანების შრომასა და ძმობა-ერთობაზე, ამის პარალელურად, ცენზურა ანადგურებდა ესთეტიკური გემოვნების მქონე მწერლობის ნიმუშებს.

მწერალთა შემოქმედებითი ასპექტების სიღრმისეულმა ანალიზმა გვიჩვენა ის მეტამორფოზა, რომელსაც განიცდიდნენ **პროლეტარები, თანამგზავრები** თუ „**ხალხის მტრები**.“

კვლევის პროცესში შევისწავლეთ „მეწირულებისა“ და „გაწირულების“ გზა. ასევე ვიკვლიეთ ე. წ. „გადარჩენილები“. „გადარჩენილები“ პირობითი ცნებაა, ის მოიცავს სხვადასხვა

კატეგორიის, პოლიტიკური მრწამსის, იდეოლოგიური ინტერესების, შეხედულებებისა და დამოკიდებულებების ადამიანებს.

რაკი ვეხებით არაპროლეტარების პროლეტარული განწყობის შემოქმედებას, უნდა გავმიჯნოთ მათივე შემოქმედებითი მიმართულებანი:

- რეჟიმის მიერ ნაკარნახევი პარტიული შემოქმედება;
- ლადი, თავისუფალი, ზეკაცური შემოქმედება.

საბჭოთა ტოტალიტარიზმის ფერხულში ჩაბმა, თანაც მონდომებით, არა ნახევარი გულითა და შუბლით, უპირობო მოთხოვნა იყო. რაც მკაცრი, სასტიკი და შეუვალი ხდებოდა რეჟიმი, მით უფრო შესამჩნევი ხდებოდა რეაქციონერთა პოზიცია და როლი. დაიწყო მწერალთა დიფერენციაცია. დიფერენცირებას ხელი შეუწყო პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ, რომელიც ბურჟუაზიულ-კულაკურ მწერლობას ებრძოდა, სამაგიეროდ წახალისა „თანამგზავრები“, რადგან თვითმიზანი იყო, ყველა გაერთიანებინა თავისი იდეის გარშემო. გადაბირება იყო პირველი მცდელობა და ნაბიჯი, ხოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში - მათი ლიკვიდაცია.

ზოგადად, „ყანწელების“ ჩაბმა ტოტალიტარულ ფერხულში უამრავ კითხვის ნიშანს აჩენს. „თანამგზავრ“ მწერალთა ნაკადი ქართულ მწერლობაში ერთი კუთხით, მოდერნისტულ-სიმბოლისტური შემოქმედებით არის ცნობილი. უდავოდ, ღირებული ლიტერატურა, უკვდავი საგანძური შექმნეს, მაგრამ საბჭოთა კრიტიკოსების შეფასებით, სახეზეა მათი პიროვნული გაორება. იდეოლოგიური წნეხის ქვეშ ურთულესია თავის გადარჩენა და, მით უფრო, - გმირობა. ლიტერატურული მასალის ანალიზზე დაყრდნობით გაიმიჯნენ „თანამგზავრები“ და პროლეტარები, გაივლო საზღვარი „თანამგზავრთა“ მოდერნისტულ და მამებლურ შემოქმედებას შორის, გაირკვა, რომ კლასიკოსები რეჟიმს ემსახურებოდნენ, მათ „დითირამებში“ იგრძნობა სიცოცხლის გადარჩენის წადილი, შიშის კვალი, გაორება. ამ პირობებში შექმნილ ესთეტიკურად მაღალ მწერლობას კიდევ უფრო მეტი ფასი ედება.

იყო თამაში თუ გადარჩენისთვის ბრძოლა, მწერლებმა მაინც საინტერესო პოზიცია აირჩიეს, რადგან ამ დამოკიდებულების წყალობით შეიქმნა კლასიკური მწერლობა, რომელიც, ადვილი

შესამღებელია, ქვეულიყო ნაცარტუტად. ორივე მხარემ კარგად იცოდა რას ემსახურებოდა, მემარჯვენეებს აწყობდათ სიტყვის ოსტატებს ექოთ საბჭოეთი, მემარცხენეები დროს მოხელთებულად იყენებდნენ. ამგვარად, ორივე მხარე ორმაგი სტანდარტით მოქმედებდა (თითქოს „ხელი ხელს ბანდა“).

ჟურნალი „მნათობი“ (1924-1991) ყველაზე ტენდენციური და პოპულარული ორგანო იყო საბჭოთა რეჟიმის პირობებში. „მნათობი“, როგორც დროის სარკე, თემატიკას აქცევდა ყურადღებას და გალაკტიონი, პაოლო, ტიციანი, ვალერიან განფრინდაშვილი დროს უწყობდნენ ფეხს, წერდნენ სტალინსა და ლენინზე, საბჭოთა იდეოლოგიური ნიშნით გამორჩეულ ნაწარმოებებს. სრულიად ბუნებრივია, რომ ქართულმა საზოგადოებამ ისინი გაიცნო „მნათობის“ ფურცლებიდან.

ბესარიონ ჟღენტი წერილში „საბჭოთა ეპოქის ქართული მწერლობა“ ახასიათებს ქართველ მწერლებს:

მიხეილ ჯავახიშვილს, კრიტიკოსის აზრით, პროლეტარულ რევოლუციამდე პროფესიონალ მწერლად არავინ თვლიდა. საბჭოთა ატმოსფერომ შექმნა თანამედროვე ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ფიგურა... მან „განთიადში“ დაბეჭდა „ჯაყოს ხიზნები“, „მართალი აბდულაჰ“, „ლამბალო და ყაშა“, „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „არსენა მარაბდელი“... ვაქტია, რომ მიხეილ ჯავახიშვილს სტალინური ეპოქა „საბჭოთა მწერლად“ მიიჩნევდა.

ნიკო ლორთქიფანიძე, ბესარიონ ჟღენტის განმარტებით, საბჭოთა მწერალია, სწორედ ამ დროს შექმნა მან ისტორიულ-რევოლუციური შინაარსის „ლიანდაგიდან ბილიკებამდე“ და ახლა ხელი მიჰყო სოციალისტურ სინამდვილეში აღზრდილი ახალი ადამიანების მხატვრული სახეების შექმნას.

კონსტანტინე გამსახურდია გამოირჩეოდა აშკარად გამოხატული პროლეტარიატისათვის უცხო და მიუღებელი იდეური პოზიციით, თუმცა, კრიტიკოსი კმაყოფილია, რადგან „მთვარის მოტაცებაში“ „ზედმეტ ადამიანთა“ განწირულებით აჩვენა სოფლად არსებული კლასობრივი ბრძოლის სიმძაფრე.

გალაკტიონ ტაბიძე საბჭოთა საქართველოს პირობებში სრულიად ახალი შემოქმედებითი სიცოცხლით ამეტყველებულ და

რევოლუციური სინამდვილით შთაგონებულ მომდერლად დაახასიათა.

პაოლო იაშვილი „სინამდვილის და რევოლუციური განცდით“ წერს უამრავ ლექსს, პოემას „გაფრენა“, რომლებშიც ასახულია სოციალისტური სინამდვილე.

ნიკოლოზ მიწიშვილმა დამლია მერყეობა და ლექსების ციკლით, „სამშობლოს გული“, საბჭოთა პოეტის სახელი დაიმსახურა.

ტიციან ტაბიძემ, რომელიც დეკადენტურ-მისტიური, ნაციონალისტური განწყობის ლექსებით გაიცნო მკითხველმა, სოციალისტური სინამდვილის ამსახველი ლექსების ციკლი შექმნა: „რიონ პორტი“, „ახალი სომხეთი“, „ორდენოსანი სამშობლოსათვის“ და სხვ.

ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსებში კვლავაც შეინიშნება სიმბოლისტური პოეზიის რეფლექსიები, მაგრამ მის ლექსებში სიმბოლისტური სკოლის კვალი მხოლოდ მხატვრულ ხერხებში ვლინდება. ჟღენტის განმარტებით, იგი თანმიმდევრულად ყალიბდება ახალ პოეტად.

გიორგი ლეონიძესთანაც რჩება ესთეტიზმით გატაცების საფრთხე, მაგრამ, სამაგიეროდ, უკანასკნელ ხანებში მან შექმნა რევოლუციური პათოსით და ჯანსაღი გრძნობებით ამღერებული ლექსების ციკლი.

წერილის ავტორი იუწყება, რომ ძველი გზა მიატოვეს და საბჭოთა ლიტერატურის შექმნას მიჰყვეს ხელი **ალექსანდრე აბაშელმა, იოსებ გრიშაშვილმა, კონსტანტინე ჭიჭინაძემ, პოლიკარპე კაკაბაძემ, დავით სულიაშვილმა, ლევან მეტრეველმა**. ავტორი განსაკუთრებით მადლიერია **გიორგი ქუჩიშვილისა**, რომელიც საკუთარ შემოქმედებას სრულად უკავშირებს პროლოეტარიატის იდეებს.

„თანამგზავრობასა“ და მერყეობას ჰქონდა თავისი განმსაზღვრელი მიზეზები: დეკადენტური მიდრეკილებები, სიახლის მოლოდინი, შიში, ეჭვი, იმედგაცრუება, თვითგადარჩენის ინსტინქტი.

ამ ფონზე გასაკვირი აღარაა ტიციან ტაბიძის სიტყვები ლავრენტ ბერიასადმი: „დარწმუნებული ვარ, ყველა პატიოსანი საბჭოთა მწერალი გულწრფელად აღიარებს თავის დანაშაულს, შეცდომას და ცოდვასაც, რათა აღმზრდელობითი კრიტიკითა და ხელმძღვანელის ამხანაგური დახმარებით მისცენ საშუალება მწერლებს, რომ მათ

გარდაქმნან თავიანთი შემოქმედება“, როგორც ამას მოითხოვს სოციალისტური რეალობა.

ბურჟუაზიულ-დეკადენტური სკოლის მწერლები, ცხადია, ვერ იქნენ პროლეტარ მწერლებად, მაგრამ „თანამგზავრობას“ თავი ვერ ან არ დააღწიეს და ამგავრად, ხელთ გვაქვს მათი საბჭოური მემკვიდრეობა.

მთავრობა ღიად აცხადებდა ტერორს და ამზადებდა საექვო მწერლების გაწირვის მყარ ნიადაგს.

ბრალდებები: „ხალხის მტრობა“; „განაპირება“; „ჯგუფობრიობა“; „მავნებლებთან“ ფარული კავშირები, „დივერსანტობა“, „ჯაშუშობა“, კონტრრევოლუციური ბანდის წევრობა და ა.შ. (ყველა ეს ბრალდება ცნეს სიყალბედ და მოეხსნათ რებილიტაციის დროს).

საბჭოთა სინამდვილესთან ორგანულად შეგუების პროცესი არ იყო ადვილი. საბოლოოდ, რეჟიმის მესვეურთა გულის მოსაგებად, მცირედი გადახრა და შეცდომაც არ ეპატიებოდათ. მნიშვნელოვანია გარკვევა, ჰქონდათ თუ არა რევოლუციის მონაპოვრის, სოციალისტური სამშობლოს მიმართ გარკვეული კეთილგანწყობა, მოლოდინი უკეთესი ცხოვრებისა. მოკვლეული მასალა ნათელს ჰფენს საკითხს, რომ მწერლები სულის გამხრწნელ ზეწოლას ეგუებოდნენ. ქმნიდნენ მამებლურ შემოქმედებას და ამის პარალელურად ატარებდნენ რწმენას, რომ „სხვა დრო წამოეწიათ და ალბათ სადმე ჩააძაღლებენ“ (ტაბიძე „სერგეი ესენინს“). ეს პარადოქსია. სიკვდილის შიში არ უნდა ყოფილიყო საბჭოური ინტერესებზე „გადაიარაღების“ მიზეზი, მით უმეტეს, თვითგადარჩენის გარანტია. საფიქრებელია, რომ

- ან უჭირდათ ძველთან განშორება ისე, როგორც ამას ითხოვდა რეჟიმი;
- ან უჭირდათ ახალი იდეოლოგიის აბსოლუტური გათავისება;
- ან „ნიღბის ქვეშ“ ცდილობდნენ ძველი და დასავლური ფასეულობების გადარჩენას.

ფაქტობრივად, ლავრენტი ბერიას ინიციატივით დაიწყო ქართველი მწერლების „წმენდა“ და სისხლიანი რეპრესიები, რამაც მთელი საქართველო მოიცვა. 1937 წლის მწერალთა კავშირის სხდომების ანგარიში ერთგვარი სარკვა იმისა, თუ რა ხდებოდა ქვეყანაში: დასმენა, ინტრიგები და თავის გადარჩენა.

პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის ფაქტი პროვოკაციულ ქმედებად მონათლეს; ნიკოლო მიწიშვილი დააპატიმრეს, ზეწოლის ქვეშ ჩვენება დააწერინეს და დახვრიტეს; ტიციან ტაბიძე და მიხეილ ჯავახიშვილი ჯერ მწერალთა კავშირიდან გარიცხეს, შემდეგ კი სასჯელის უმდალესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯეს. ყველა ის პირი, ვინც ბოლშევიკურ ხელისუფლებას ტაშს არ უკრავდა, „მოღალატედ“, „კონტრრევოლუციონერად“, „ტროცკისტად“ და „ჯაშუშად“ მონათლეს, დააპატიმრეს, სასურველ ჩვენებაზე ხელი მოაწერინეს, ათობით პიროვნება „ჩააშვებინეს“ და ბოლოს დახვრიტეს. ეს იყო ის სქემა, რომლითაც ხელისუფლება მოქმედებდა და ინტელიგენციის დიდ ნაწილს უსწორდებოდა.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდენტის სხდომათა ოქმების სტენოგრაფიული ჩანაწერებიდან ვეცნობით პაოლო იაშვილის აღიარებას (1937 წლის 27 მაისის ჩანაწერი): **„მე თუ გასაბჭოების დამეს ტფილისში დავრჩი, მონაწილეობა მივიღე ქალაქში წესრიგის აღდგენაში, არ დავემორჩილე იმ ჭორებს ტერორისა და აწიოკების შესახებ, რომელსაც მენშევიკები ავრცელებდნენ წითელი არმიის შესახებ, ეს იყო უმთავრესად ლომინაძის გავლენით, რომელიც გვიხატავდა მომავალ სურათს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას საქართველოში... არა ერთხელ საჯაროდ მრავალ ამხანაგთა საუბარში გამომითქვამს ჩემი აღშფოთება და სიძულვილი ფაშიზმის წინააღმდეგ... უნაპირო გრძნობით მე მიყვარს ჩემი სოციალისტური სამშობლო, ყოველ წუთში მზად ვარ სტალინს და მის საქმეს შევსწირო თავი. ამხ. ბერია მოითხოვს ჩემი ძველი საქმეების დაგმობას და გარდაქმნას. მე მაქვს შესაძლებლობა ამ გარდაქმნისა... მე ვიღებ ამხ. ბერიას ყველა შენიშვნას და გაფრთხილებას“.**

პროლეტარული ნარატივის საფუძველზე, იდეოლოგიურ მსახურებას ეწეოდნენ გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე და მრავალი ქართველი მწერალი. მათ მოუწიათ პრინციპების დათმობა და გადაფასება.

III თავი

სტალინის მხატვრული სახე სალიტერატურო სივრცეში

მესამე თავში გამოკვეთილია იოსებ ბესარიონის ძე სტალინის სახე საბჭოთა სალიტერატურო სივრცეში. ბელადის მხატვრული სახე წარმოჩენილია ორ განზომილებაში, როგორც თანაგანცდად სინამდვილეში (საბჭოთა საზღვრებში კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის, მიხაილ ბულგაკოვის შემოქმედებაში), ასევე „რკინის ფარდის“ მიღმა, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში. აღნიშნული თავი მოიცავს ორ ქვეთავს:

1) ბელადის სახე კონსტანტინე გამსახურდიას და გიორგი ლეონიძის მხატვრულ ტექსტებში;

2) სტალინის ფსიქოტიპი გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში; ამავე ქვეთავში განხილულია მიხაილ ბულგაკოვის რომანი „ოსტატი და მარგარიტა“, როგორც გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებითი იდეის თანხვედრა.

იოსებ ბესარიონის ძე სტალინს პრინციპული დამოკიდებულება ჰქონდა ინტელიგენციის მიმართ. ის საუკეთესო მწერლობას ითხოვდა, ისეთს, ყოველგვარ კონკურენციას რომ გაუძლებდა და ყველაზე მაღლა დადგებოდა. ამიტომაც არ მოსწონდა ბოლშევიკ-პროლეტარ მწერალთა შემოქმედება.

ტოტალიტარიზმის ხანა ღირსეულ მწერლად თვლიდა მას, ვინც ეთაყვანებოდა სტალინს და მის მიერ განსაზღვრულ ცხოვრებას.

საბჭოთა კრიტიკა „პოლიტიკურ მავნებლებად“ რაცხდა „ცისფერყანწელებს“, „არიფიონელებს“, „H²SO⁴“-ს.

კონსტანტინე გამსახურდია ეპოქის საინტერესო სურათებს ქმნის თავის ისტორიულ რომანებში. სულიერი პორტრეტი აისახა როგორც თარაშ ემხვარის, ასევე კონსტანტინე სავარსამიძის მხატვრულ სახეებში. ცხოვრებამ და ახალმა დროებამ მას **ნიღაბი მთარგო.** ამიტომაც მწერლის ტკივილიან ოცნებად დარჩა, დარჩენილიყო „კრისტალივით გამჭვირვალე“, „ბერივით სათნო“ მწერლად და კაცად. ის იქენჯნებოდა: „ამღვრეული ვარ, როგორც კახური მაჭარი“.

გამსახურდიამ ხარკი გადაუხადა საბჭოთა ლიტერატურას, მან დაწერა რომანები - „ბელადი“ (დაუმთავრებელი) და ვრცელტანიანი „ვაზის ყვავილობა“.

კონსტანტინე გამსახურდიას „ბელადი“ ლავრენტი ბერიას დაკვეთით დაიწერა. რომანში ყურადღებას იქცევს სიმბოლურ-ალეგორიული ფონი, მწყემსი უფლისა არაბულის ლოცვა ახალშობილ, აკვანში მწოლარე იოსებისა: „ეს მგლის კბილებია და არწივის პწკალები. აკვანზე ჩამოუკიდე ბატარია ბაღლსა, გაიზარდოს, გახადოს უფალმა ქომაგი გლეხკაცისა, ჩუენითანა გაჭირვებულის მოჯამაგირისა, სუყველა იმათი, ვინც ჩუენსავით ცრემლნარევი ოფლით სჭამდეს პურსა, ვის ნაშრომსაც სხვები იტაცებენ. ღმერთო დიდებულო და დიდად სახსენებო, შენ გაუმარჯვე ჯუღანთ იოსებსა...არწივის სილაღე მიე და მუხლი მგლისა...დეე, მთელმა ქვეყანამ შეიყვაროს, გულის პირში ჩაიხვიოს იგი“.

მეზობელ ცოქალას თამაშ-თამაშით დასწავლილი „ლოლია, ლოლია“ რეალობაა სტალინის ცხოვრებისა. ხელის ყოველი თითის ფუნქცია ასე იხატება: „ამან დაჰკლა, ამან გაატყავა, ამან შესწვა, ამან მოიტანა და ამან შესჭამა“.

რომანით აღფრთოვანებულ მწერალთა და კრიტიკოსთა შეფასებით, მართალია, „ბელადი“ გვერდით ვერ ამოუდგება მწერლის კლასიკურ ქმნილებებს, მაგრამ აშკარაა, რომ ავტორი მონდომებით ცდილობდა სტალინისა და ბერიასათვის ეამებინა.

გიორგი ლეონიძემ პოემა „სტალინი. ბავშვობა და ყრმობა“ დაწერა 1936 წელს „ამხ. ლ.ბერიას ისტორიული მოხსენების საფუძველზე“. სტალინის სიჭაბუკის წლები ლეონიძემ ხოტბით შეამკო. მის დაბადებას ზარ-ზეიმით შეეგება ყველა, პოეტი გორს ქალაქთა შორის ყველაზე დიად ქალაქად სახავს, რადგან მის წიაღში დაიბადა იოსებ ჯუღაშვილი.

გიორგი ლეონიძის ბელადისადმი ხოტბაზე საუბრისას, უმნიშვნელოვანესია ფაქტის გამოკვეთა: პოეტის ძმა, ლევან ლეონიძე, 1937 წელს დახვრიტეს. რძალს, მარია ჰოფმანს გადასახლება მიუსაჯეს, გიორგი ლეონიძემ დაიხსნა ის ამ სატანჯველისგან, სწორედ, თავისი მაამებლური შემოქმედებით. საგულისხმოა, რომ პოეტს მიძიმე წნეხის ატანა, თუნდაც ღირსებაშემლახავის, უწევს ოჯახისა და შემოქმედების გადასარჩენად, მაგრამ ხომ შესაძლოა,

პოეტს გულწრფელად სჯეროდა სტალინის სიდიადისა, ხიბლავდა მისი გენია! აშკარაა, რომ აბსოლუტური რადიკალიზმი არ ახასიათებდათ სიმბოლისტურ-დეკანდეტური მიმდინარეობის მწერლებს.

სტალინის სრულიად განსხვავებული სახე შექმნა სხვა განზომილებაში, ევროპაში მცხოვრებმა გრიგოლ რობაქიძემ რომანში - „ჩაკლული სული“ და ესეში - „სტალინი, ვითარცა არიმანული ძალმოსილება“. ცნობილია, რომ „ჩაკლულ სულში“ გამოჩენილი დიდი სითამამე, რომელიც მწერალს მისცა უცხოეთმა, ძვირად დაუჯდა. რომანსა და ესეში დახატა სტალინის რეალური პორტრეტი, „ასეთი წიგნის ავტორს საბჭოეთში აღარც ჩამოესვლებოდა. ბოლშევიზმისა და სტალინის კრიტიკას არავინ აპატიებდაო“ - წერს სოსო სიგუა.

გრიგოლ რობაქიძის დახასიათებით, სტალინი ფლობდა დამანგრეველ ძალას, ისეთს, როგორსაც არც ლენინი, არც ჰიტლერი, არც მუსოლინი. სტალინის სტილი ადამიანების არარაობად გადაქცევა იყო. ამის ნათელი დასტურია ბერზინის სახე, („ჩაკლული სული“). რომანში მწერალმა XX საუკუნის მთავარი დილემა - კაცობრიობის სულიერი კრიზისი აღწერა, რაც მან ტირანის პირისპირ დარჩენილი ხელოვანის ტრაგედიის ფონზე გააცხადა.

რობაქიძის შემოქმედებითი პოზიციის საპირისპიროდ გაჩნდა სახოტბო პროზა და პოეზია, დითირამები. ასე შეიქმნა სტალინის პარადოქსული სახე-ხატი: გამსახურდიას, ლეონიძის და სხვა მრავლის შემოქმედებაში „დიდი ბელადი“, რობაქიძესთან კი - „პრეისტორიული ხვლიკის გაქვავებული სახე“.

რობაქიძე სტალინს ხელაღებით ამაგებს და, ამავდროულად, აიდელაებს, როგორც განსაკუთრებულ მოვლენას კაცობრიობის ისტორიაში. თუ ლეონიძე და გამსახურდია სტალინის ბავშვობას ზედმიწევნით დადებით კონტექსტში წარმოაჩენენ, რობაქიძე პირიქით, ამბობს, რომ „ბავშვობის ასაკში მას ბავშვობაც არ ჰქონია. მას იმთავითვე რაღაც ამძიმებს და თამაში არ უყვარს“.

სტალინის შესანიშნავ ალეგორიულ მხატვრულ სახეს ქმნის საბჭოთა პერიოდის არანაკლებ თამამი მწერალი **მიხაილ ათანასეს ძე ბულგაკოვი**. მართალია, საკვალიფიკაციო ნაშრომი ეძღვნება პროლეტარული ნარატივის შესწავლას ქართულ მწერლობაში, თუმცა

ამ ტექსტის მოხმობამ გაამდიდრა დისკურსი სტალინის მხატვრული სახის შესახებ.

ბულგაკოვის რომანის, „ოსტატი და მარგარიტას“, გმირს (თუ ანტიგმირს), ვოლანდს ბევრი აქვს საერთო რობაქიძისეულ სტალინთან.

რობაქიძეს და ბულგაკოვს, როგორც ერთი ეპოქის მწერლებსა და თვითგანმცდელებს, ანათესავებთ გაბედული კალამი. მათი შემოქმედება აშკარა რევიზიაა სტალინური ეპოქისა.

ბულგაკოვის მიზანია, ადამიანებმა დაინახონ სტალინური რუსეთის გამხრწნელი სინამდვილე, რომელიც წლების განმავლობაში სპობდა, ანადგურებდა ფასეულობებს, თუმცა მწერალი რომანის პოზიტიური დასასრულით გამოხატავს რწმენას, რომ რუსეთი დაადგება სწორ გზას: „იმ შავი უფსკრულის თავზე, რომელშიც კედლები ჩაემხო, თვალგაუწვდენი ქალაქი გაჩახჩახდა“.

„ჩაკლული სული“ და „ოსტატი და მარგარიტა“ ნიღაბს ხსნის საბჭოეთს, ნაწარმოებებმა დაანახა მკითხველს, როგორ ათამაშებს და ბოლოს ამ სათამაშოს როგორ ანადგურებს საბჭოთა სინამდვილე, რომ ბოროტება ვერასდროს იქცევა უზენაეს ძალად, რომ დიდი თუ მცირე, ორივე დანაშაულია და გამოსავალი - სინანულის გზით განწმენდა.

ძირითადი დასკვნები

საკვალიფიკაციო ნაშრომის მიზანია, XX საუკუნის უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენის, გასაბჭოების, ფონზე აღმოცენებული პროლეტარული ნარატივის შესწავლა 1921 -1940 წლებში.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პერიოდი ხასიათდება მწერალთა პოზიციების ცვლილებებით, მერყეობით, ორმაგი სტანდარტით, მეხოტბეობით. ერთ მხარეს პროლეტარული მწერლობაა, მეორე მხარეს მუქარით დაშინებული, დაუზუსტებელი პოზიციების მწერლობა, რომელიც განუზომელი მასშტაბურობით ქმნის პროლეტარულ ნაწარმოებთა სერიას.

კვლევისას თვალსაჩინო გახდა:

1. მწერლობა ყოველთვის ემსახურებოდა ხელისუფლებას და მის იდეოლოგიას, პოლიტიკური ცხოვრებისგან აბსოლუტურად თავისუფალი მწერლობა თითქმის არ არსებობს (ქართულ სალიტერატურო სივრცეში), აქედან გამომდინარე, ვერც საბჭოთა პერიოდის მწერლობა იქნებოდა სრულიად თავისუფალი და დადგენილი ნიშნულიდან მკვეთრად გადასული. რამდენადაც ლიტერატურა შესანიშნავი იდეოლოგიური იარაღია, თვით მწერალი ან საკუთარი არჩევანით ემსახურება მას, ან იმართება სახელმწიფოს მმართველი ან მემარცხენე ძალისგან. განსაკუთრებით 30-იან წლებში დამკვიდრდა ე. წ. „კმაყოფილი მონის“ (გიორგი კეკელიძე) სინდრომი.

2. პროლეტარულ ნარატივზე დაყრდნობით, იდეოლოგიურ მსახურებას ეწოდნენ გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე და მრავალი ქართველი მწერალი, რომელთა სიტყვიერი ზემოქმედების კვალი აშკარად ისახებოდა ქართულ საზოგადოებაზე. მათ უწევდათ პრინციპების დათმობა და გადაფასება, განიცდიდნენ მეტამორფოზას და მსახურება არ იყო ოდენ წნეხით გაპირობებული. იკვეთება კონფორმიზმი. ქართული მწერლობა, ნებითა თუ ძალით, საბჭოთა იდეოლოგიას ემსახურებოდა.

3. ჯალათის როლი დაეკისრა საბჭოთა ცენზურას და მისი გავლენით, მოდერნისტულმა მწერლობამ ტრანსფორმაცია განიცადა, კვლევამ აჩვენა, რომ ეს პროცესი არ იყო იოლი. პრინციპების დათმობა მტკივნეული იყო არაერთი ქართველი მწერლისთვის, იყო ძველის გლოვა და გამოტირება, მაგრამ სახეზე გვაქვს მათი საბჭოთა მემკვიდრეობა. (სხვა საქმეა, რას დაწერდნენ ისინი, გრიგოლ რობაქიძესავით თავშესაფარი უცხოეთში რომ ეპოვნათ).

4. გამოიკვეთა მწერალთა რამდენიმე კატეგორია: „გაწირულები“, „მეწირულები“ და „გადარჩენილები“.

5. ე. წ. „გადარჩენილების“ (ლეო ქიაჩელის, გერონტი ქიქოძის, ლევან ასათიანის, ნიკო ლორთქიფანიძის) ცხოვრება და შემოქმედება საკუთრივ კვლევას საჭიროებს. თუმცა, მათ შესახებ შეგვიძლია ვთქვათ ის, რომ მწერალთა სახლში მისვლას და მწერალთა დაუსრულებელ სხდომებს ერიდებოდნენ, მათი სახელები იმდროინდელ „ლიტერატურულ საქართველოში“ არ გვხვდება. 1937 წლის რეპრესიებს ისინი გადაურჩნენ.

6. კვლევაში მხილებულია საბჭოეთის გამხრწნელი მექანიზმი - მწერლების მუდმივი კონტროლი და კრიტიკა, ამ ფონზე მწერლობის გადაქცევა საბჭოთა მანქანის მესაჭედ. შეიქმნა „მამებლური“ ლიტერატურაც და კრიტიკაც. ამდენად, შეუძლებელი გახდა იმის დაჯერება, რომ ქართველი კლასიკოსები საბჭოთა ტირანს და მის პოლიტიკას არ ემსახურებოდნენ.

7. ნაშრომში განხილულია ბელადის, კერძოდ, სტალინისადმი მიძღვნილი დითირამბული ხასიათის თხზულებები, მათი ავტორების გამოაშკარავებული შინაგანი პოზიციები. (ნაჩვენებია სივრცული სხვადასხვაობა). ზოგი თავის გადასარჩენად მოხარკეობას თანხმდება, ზოგი რადიკალურად ემიჯნება.

8. არაპროლეტარების პროლეტარული განწყობის შემოქმედება გამიჯნულია ორ მთავარ მიმართულებად: რეჟიმის მიერ ნაკარნახევი პარტიული შემოქმედება და ლადი, თავისუფალი, ზეკაცური შემოქმედება.

9. სიკვდილის შიში არ უნდა ყოფილიყო საბჭოურ ინტერესებზე „გადაიარაღების“ მიზეზი, „გადაიარაღება“ კი - თვითგადარჩენის გარანტია. სავარაუდებელია, რომ მწერლებს უჭირდათ ძველთან განშორება ისე, როგორც ამას ითხოვდა რეჟიმი; მათთვის მწელი იყო ახალი იდეოლოგიის აბსოლუტური გათავისება; ისინი „ნიღბის ქვეშ“ ცდილობდნენ ძველი და დასავლური ფასეულობების გადარჩენას.

10. შემოქმედებითი მრწამსის გათვალისწინებით, გამოვლინდა მწერალთა სამი კატეგორია: **დამორჩილებულნი, ემიგრაციაში გაქცეულნი და განადგურებულნი.**

11. რევოლუციით ბევრი მწერალი აღფრთოვანდა. ზოგი მუდმივ რყევას განიცდიდა, ზოგიც პოზიციას იცვლიდა. „ცისფერყანწელები“ თავდაპირველად იყვნენ რევოლუციის მხარეს. მოგვიანებით კი „თანამგზავრებად“ იქცნენ.

12. გამოიკვეთა, რომ რეჟიმის დემაგოგიური ინსტიტუტი ახერხებდა მათ გადარწმუნებას და ე.წ. „ნათლობას“. მოხდა **მწერალთა გაპროლეტარება და პროლეტართა გამწერლება.**

14. საბჭოთა მწერლისთვის დამახასიათებელია ორმაგი ბუნება, პოზა, განწყობა, რაც უმძიმესმა პერიოდმა ბუნებრივ მოვლენად აქცია. საზოგადოება შეეგუა იმ აზრს, რომ ყველა „საბჭოთა პოეტი“ იყო.

სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები

1. **ტოტალიტარული სივრცე და შემოქმედებითი პოზიცია**; IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ენა და კულტურა": გამომც. ქუთაისი, „მერიდიანი“, 2017; 209-216.

2. **„პროლეტარული მწერლობა“ - იდეოლოგიური კატალიზატორი**; IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათმშორისი დიალოგები“; თელავი; გამომც. „მერიდიანი“; 2017; 328-336

3. **„ცისფერყანწელები“ 1936-1937 წლების პრესაში**; „ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირებისათვის“, IX სტუდენტური რეგიონთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია; თსუ, გამომცემლობა, „მერმისი“; თბილისი, 2018; 47-54.